ინდივიდუალური აუდიტორი
როდერი მექვაბიშვილი

MR

Individual Auditor
RODERI MEQVABISHVILI

ლიცენზია № ზ 204, სერტიფიკატი № 4/101, მისამართი: 3500, ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. 19, (77) 71 66 68

27 მარტი 2008 წელი

აუდიტორული დასკვნა № 17/2008

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია ინდივიდუალური აუდიტორის როდერი მექვაბიშვილის მიერ, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2001 წლის 18 აპრილს გაცემული ლიცენზიის (№ ზ 204) და 2006 წლის 13 თებერვალს გაცემული სერტიფიკატის (№ 4/101) საფუძველზე.

2008 წლის 27 მარტს ჩემს მიერ ჩატარებული იქნა საზოგადოებრივი კავშირის „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს" (საინდეტიფიკაციო კოდი 237093104) ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კავშირის ხელმძღვანელობა, აუდიტორს ევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოხატოს მოსაზრება წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გასცეს დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტით გათვალისწინებულია მტკიცებულებების შემოწმება ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

კავშირს აღნიშნულ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა; გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კავშირის ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბრისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური აუდიტორი: /როდერი მექვაბიშვილი/

MR
137089834